სააპლიკაციო პერიოდი: 29.01.2026 – 24.02.2026

ჰარვარდის საზაფხულო სკოლა

- ჰარვარდის საზაფხულო სკოლა (HSS), დაარსებული 1871 წელს, არის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ძველი აკადემიური საზაფხულო პროგრამა.
- კურსებს უძღვებიან ჰარვარდის პროფესორები, გამოჩენილი მოწვეული მეცნიერები და ინდუსტრიის ექსპერტები.
- პარტნიორობის უპირატესობები მოიცავს პროფესიული კავშირების შექმნის შესაძლებლობებს, მხარდაჭერას სტუდენტურ ვიზაზე განაცხადის გაკეთების პროცესში და სხვა სტუდენტურ უპირატესობებს სწავლის პერიოდში და შემდგომ.

პროგრამის შესახებ

ჰარვარდის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების განყოფილებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) აცხადებს აპლიკანტთა წინასწარ შერჩევას ჰარვარდის საზაფხულო სკოლის 2026 წლის პროგრამაში მონაწილეობისთვის.

კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე (სწავლების სამივე საფეხურის) აპლიკანტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ წინაპირობებს:

1. აკადემიური წინაპირობა:
   აქვთ GPA არანაკლებ 3.2-სა სწავლების მიმდინარე საფეხურზე (2025-26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მონაცემებით)
2. თსუ-ს მიერ ნაწილობრივად დაფინანსებულ პროგრამაზე **<u>განაცხადის გაკეთება არ შეუძლიათ</u>** იმ სტუდენტებს, რომლებიც:
   2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულს სემესტრში სარგებლობენ თსუ-ს მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამით
   2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულს სემესტრში ასრულებენ სწავლას თსუ-ში
   2025 წელს თსუ-ს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღეს ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში
3. ენობრივი კომპეტენცია:

აპლიკანტები უნდა ფლობენ <u>ინგლისურის ენის ცოდნის</u> დამადასტურებელ შემდეგ დოკუმენტთაგან ერთ-ერთს (რომელიც გაცემულია არაუადრეს 2024 წლის 1 იანვრისა):

- TOEFL – 100 ქულა ინტერნეტზე დაფუძნებულ TOEFL iBT ტესტზე, მათ შორის TOEFL iBT Home Edition-ის ვერსიაზე.
- საერთაშორისო ინგლისური ენის ტესტირების სისტემა (IELTS) აკადემიური* – 7.0, მათ შორის IELTS აკადემიური ონლაინ ტესტი.
- PTE Academic ტესტი (PTEA) – 70
- Duolingo ინგლისურის ტესტი (DET) – 125

4. დისციპლინური ჩანაწერები მშობლიურ უნივერსიტეტში:
   - აპლიკანტებს არ უნდა უფიქსირდებოდეთ დისციპლინური გადაცდომა თსუ-ში სწავლის პერიოდში
   - აპლიკანტები თანახმა უნდა იყვნენ ჰარვარდში მოქმედი სტუდენტურ ქცევათა კოდექსის დაცვაზე, რომელიც ხელმისაწვდომია აქ;
5. კურსზე რეგისტრაციის წინაპირობები:
   - აპლიკანტებს შესრულებული უნდა ჰქონდეთ ჰარვარდის საზაფხულო სკოლის ფარგლებში არჩეული საგნების აკადემიური წინაპირობები (ისეთ კურსზე/კურსებზე რეგისტრაციის შემთხვევაში, რომელიც წინაპირობით შეზღუდულია);

6. ფინანსური მზაობა:
   - აპლიკანტები უნდა ფლობენ საკმარის ფინანსურ რესურსებს (ან ჰყავდეთ სპონსორი ან სპონსორები), რომელიც დაფარავს ნომინანტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ხარჯს

შენიშვნა: პროგრამაში მონაწილეობის მოსაკრებლის, ცხოვრებისა და კვების სრულად გადახდის ბოლო თარიღია 2026 წლის 11 მაისი.

დამატებითი პირობები:

- პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თსუ-ს მიერ წინასწარ შერჩეული და ჰარვარდის საზაფხულო სკოლის მიერ მიღებული აპლიკანტი წარმატებით გაივლის აშშ-ს სტუდენტური ვიზის (ტიპი: F-1) მიღებისთვის აუცილებელ პროცედურებს;
- სავიზო განაცხადთან დაკავშირებული პირობები დგინდება და ვიზის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება აშშ-ს მთავრობის მიერ;
- საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში, ვიზა გაიცემა აშშ-ს საელჩოს საკონსულო განყოფილების მიერ თბილისში. ვიზის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტი, I-20 ფორმა, გაიცემა ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ აქ მოცემული პროცედურების დაცვით.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

თსუ დააფინანსებს საუკეთესო მაჩვენებლის მქონე 3 სტუდენტს 3-კვირიან პროგრამაში მონაწილეობისთვის აუცილებელი სწავლისა და საერთო საცხოვრებელში განთავსების ხარჯებით (კვებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის სავალდებულო მინიმალური პაკეტის ჩათვლით). თსუ-ს მიერ დაფინანსებული სტუდენტები ვალდებული არიან პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (როგორიცაა, სამოგზაურო დაზღვევა, სავიზო მოსაკრებელი, I-901 SEVIS რეგისტრაცია, მგზავრობა და სხვ.) აანაზღურონ პირადი სახსრებით.

<u>სავარაუდო ხარჯების კალკულატორი</u>

7 კვირიანი სესიის შემთხვევაში (2 ოთხ-კრედიტიანი კურსი; სულ 8 კრედიტი)
22 ივნისი - 7 აგვისტო, 2026წ.

სწავლების გადასახადი	7,164 აშშ დოლარი	სავალდებულო
საერთო საცხოვრებელში განთავსება და კვება გადასახადში შედის ჯანმრთელობის დაზღვევის სავალდებულო მინიმალური პაკეტი	7,575 აშშ დოლარი	არასავალდებულო, მონაწილეს შეუძლია ალტერნატიული საცხოვრებლის მოძიება და კამპუსს გარეთ განთავსება
სასწავლო მასალები, ადმინისტრაციული რეგისტრაციის მოსაკრებელი,	700 აშშ დოლარი	სავალდებულო
ჯანმრთელობის დაზღვევა (საჭიროა მხოლოდ მათთვის, ვინც საერთო საცხოვრებელში არ განთავსდება)		უცხოელი სტუდენტები, რომლებიც კამპუს-გარეთ იცხოვრებენ ვალდებული არიან შეიძინონ ამერიკული დაზღვევის ისეთი პაკეტი, რომელიც მოიცავს მათი აშშ-ში ყოფნის სრულ პერიოდს
სამოგზაურო დაზღვევა		სავალდებულო
I-901 SEVIS	350 აშშ დოლარი	სავალდებულო
სავიზო აპლიკაციის მოსაკრებელი	185 აშშ დოლარი	სავალდებულო
მგზავრობა	1,000 აშშ დოლარი	სავალდებულო
სულ სავარაუდო ხარჯები	16,974 **აშშ დოლარი**	

4 კვირიანი სესიის შემთხვევაში (1 ოთხ-კრედიტიანი კურსი)
13 ივლისი - 6 აგვისტო, 2026წ.

სწავლების გადასახადი	3,582 აშშ დოლარი	სავალდებულო
საერთო საცხოვრებელში განთავსება და კვება	4,920 აშშ დოლარი	არასავალდებულო, მონაწილეს შეუძლია ალტერნატიული საცხოვრებლის მოძიება და კამპუსს გარეთ განთავსება
სასწავლო მასალები, ადმინისტრაციული რეგისტრაციის მოსაკრებელი, დაზღვევა	700 აშშ დოლარი	სავალდებულო
ჯანმრთელობის დაზღვევა (საჭიროა მხოლოდ მათთვის, ვინც საერთო საცხოვრებელში არ განთავსდება)		უცხოელი სტუდენტები, რომლებიც კამპუს-გარეთ იცხოვრებენ ვალდებული არიან შეიძინონ ამერიკული დაზღვევის

		ისეთი პაკეტი, რომელიც მოიცავს მათი აშშ-ში ყოფნის სრულ პერიოდს
სამოგზაურო დაზღვევა		სავალდებულო
I-901 SEVIS	350 აშშ დოლარი	სავალდებულო
სავიზო აპლიკაციის მოსაკრებელი	185 აშშ დოლარი	სავალდებულო
მგზავრობა	1,000 აშშ დოლარი	სავალდებულო
სულ სავარაუდო ხარჯები	**10,737 აშშ დოლარი**	

3 კვირიანი სესიის შემთხვევაში (1 ოთხ-კრედიტიანი კურსი):
პირველი სესია: 22 ივნისი - 9 ივლისი, 2026წ.
მეორე სესია: 13 ივლისი - 30 ივლისი, 2026წ.

სწავლების გადასახადი	3,582 აშშ დოლარი	სავალდებულო
საერთო საცხოვრებელში განთავსება და კვება	3,700აშშ დოლარი	არასავალდებულო, მონაწილეს შეუძლია ალტერნატიული საცხოვრებლის მოძიება და კამპუსს გარეთ განთავსება
სასწავლო მასალები, ადმინისტრაციული რეგისტრაციის მოსაკრებელი, დაზღვევა	700 აშშ დოლარი	სავალდებულო
ჯანმრთელობის დაზღვევა (საჭიროა მხოლოდ მათთვის, ვინც საერთო საცხოვრებელში არ განთავსდება)		უცხოელი სტუდენტები, რომლებიც კამპუს-გარეთ იცხოვრებენ ვალდებული არიან შეიძინონ ამერიკული დაზღვევის ისეთი პაკეტი, რომელიც მოიცავს მათი აშშ-ში ყოფნის სრულ პერიოდს
სამოგზაურო დაზღვევა		სავალდებულო
I-901 SEVIS	350 აშშ დოლარი	სავალდებულო
სავიზო აპლიკაციის მოსაკრებელი	185 აშშ დოლარი	სავალდებულო
მგზავრობა	1,000 აშშ დოლარი	სავალდებულო
სულ სავარაუდო ხარჯები	**9,517 აშშ დოლარი**	

მნიშვნელოვანი თარიღები	
იანვარი, 2026წ.	2026 წლის საზაფხულო სკოლის ფარგლებში შეთავაზებული კურსების ჩამონათვალი ხელმისაწვდომი ხდება ჰარვარდის საზაფხულო სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე
19 თებერვალი, 2026წ.	წინასწარი რეგისტრაციის დაწყება
2 მარტი, 2026წ.	კურსებზე რეგისტრაციის დაწყება (რეგისტრაციის ბოლო ვადაა 15 ივნისი)
3 მარტი, 2026წ.	სტუდენტურ საცხოვრებელში რეგისტრაციის მიზნით რეგისტრაციის დაწყება (რეგისტრაციის ბოლო ვადაა 7 აპრილი)
არაუგვიანეს 15 აპრილისა	თსუ-ს მიერ ნომინირებული და ჰარვარდის საზაფხულო სკოლის მიერ მიღებულ სტუდენტებს ევალებათ დაასრულონ: ა) I-20 ფორმის გენერირებისთვის აუცილებელი კითხვარის შევსება ფინანსური დოკუმენტაციისა და სხვა დოკუმენტების ჩათვლით; ბ) რეგისტრაცია ისეთ კურსზე, რომელიც უფლებას აძლევს ჩაითვალონ I-20 ფორმის მაძიებლად; გ) იმუნიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება

ჰარვარდის ზაფხულის სკოლის მიერ შემოთავაზებული კურსების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია აქ; ჰარვარდის საზაფხულო სკოლის 2026 წლის კალენდარი ხელმისაწვდომია აქ.

<u>კურსის ცვლილებები და გაუქმება:</u>

- კურსებზე დარეგისტრირების შემდეგ, თუ გსურთ შეიტანოთ ცვლილებები კურსის განრიგში და/ან გააუქმოთ, ცვლილებების შეტანამდე გთხოვთ, წინასწარ გადახედოთ ვადებს, გამონაკლისებსა და პოლიტიკას. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.
- კურსის გაუქმებისას დასაბრუნებული სწავლის თანხის ოდენობა და გაუქმებისას თქვენს მუდმივ პირად გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი დამოკიდებულია იმ თარიღზე, როდესაც გააგზავნით მოთხოვნას გაუქმების შესახებ ონლიან ან ფიზიკურად მისამართზე ბრატლის ქუჩა

#51, კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი, აშშ. დეტალური ინფორმაცია და პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

<u>აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან ინგლისურ ენაზე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საბოლოო გადაწყვეტილებას აპლიკანტთა შერჩევის შესახებ იღებს ჰარვარდის საზაფხულო სკოლა.

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი</u>

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის სურვილის მქონე სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები **<u>(ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი სავალდებულოა)</u>**; ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე:

1. პასპორტის ასლი (სკანირებული pdf ვერსია); ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, მეორე პასპორტის ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. აქამდე მიღებული ყველა ვიზის ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
3. ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (GPA-ის მითითებით);
4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (პირობები იხილეთ ზემოთ);
5. CV;
6. სამოტივაციო წერილი (შერჩეული კურსის მითითებით) არაუმეტეს 2 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing - 1.0, ველები - 2სმ.
7. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
8. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა *(ჩამოტვირთეთ დანართი 1, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია)*;
9. აპლიკანტის ფინანსური თანხმობის ფორმა *(ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია)*;
10. ფინანსური გარანტიის ფორმა *(დანართი 3), გარანტორის მიერ შევსებული, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (თუ რელევანტურია);*
11. ფინანსური დოკუმენტი *(დეტალური განმარტება იხილეთ ფინანსური გარანტიის ფორმის მე-3 გვერდზე):* დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარანტორის მიერ სპონსორობისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების ფლობას

საზაფხულო სკოლაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული სტუდენტები უნდა:

1. დარეგისტრირდნენ გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge,
2. ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში)
3. გადმოგზავნონ განაცხადი ელექტრონულად არაუგვიანეს **2026 წლის 24 თებერვლის 17:59 საათისა (თბილისის დროით)**.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია!

- **გასაუბრება წინასწარი შერჩევის მიზნით ჩატარდება <u>დასწრებულ ფორმატში</u> თებერვლის ბოლო კვირას!**
- გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია;
- რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge